

ებრაული კულტურული ასიმილაციის თავისებურებები ქართულ და
ამერიკულ ლიტერატურაში
(ფილიპ როთი „ნახვამდის კოლუმბ“ და გურამ ბათიაშვილი
„ელიგულა და ხავა“)

თეონა თხელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი
ლიტერატურადმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფირცხალავა, პროფესორი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თხელიძე თეონა

26.06.2019

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ლიტერატურული ტექსტის შედარებას, რომელთა საერთო წერტილი ებრაელი ხალხის იდენტობის თავისებურებები და უცხო ქვეყანაში ასიმილაციაა. ნაშრომის მიზანია, ორივე ნაწარმოების გაანალიზება ისტორიულ პროცესებთან თანხვედრაში. მიზნის შესაბამისად შესადარებლად შეირჩა ქართველი მწერლის გურამ ბათიაშვილის დოკუმენტური რომანი „ელიგულა და ხავა“ და ფილიპ როთის მოთხრობა „ნახვამდის კოლუმბ“. თავისებურებების გამოსავლენად გაანალიზებულია მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროები ებრაელი ხალხის ცხოვრების შესახებ საქართველოში უძველესი დროიდან დღემდე და ასევე ამერიკაში მცხოვრები ებრაელების პირველი მიგრაცია, გამომწვევი მიზეზები და ასიმილაცია. ასევე როგორი იყო ებრაელთა თემით დაინტერესება ქართულ და ამერიკულ მწერლობაში. შედარების შედეგად დადგინდა ებრაელთა ინტეგრაცია საქართველოში და ამერიკაში. რა მსგავსება-განსხვავება არსებობდა ებრაელთა თანაცხოვრებაში ორ უცხო ქვეყანაში და როგორ ხდება ამ ყველაფრის ჩვენება ლიტერატურისდახმარებით. წარმოდგენილ კვლევაში მიმოხილულია ისტორიული, სამეცნიერო და ლიტერატურული ნაშრომები საქართველოში და ამერიკაში მცხოვრებ ებრაელებზე.

საკვანძო სიტყვები: ქართველი ებრაელები, ამერიკელი ებრაელები, ინტეგრაცია, ასიმილაცია.

Abstract

The master's thesis is to compare two different literary texts, the general point of them is the explanation featured identity of the Jewish people and the assimilation in foreign country. The purpose of the research is to analyze both works in conjunction with historical processes. Regarding the purpose of thesis the documentary novel "Eligula and Khava" by Georgian writer Guram Batiashvili and the story of Phillip Roth'- "Goodbye Columbus" were selected. During the research, important historical sources of life of the Jewish people have been analyzed in Georgia since ancient times, as well as the first migration of Jews living in America, its causing reason and assimilation. Also how was interested in the Jewish community in Georgian and American writings. As a result of the comparison, it was established what Jewish integration was like in Georgia and United States. What was the similarities and differences between the Jews in two foreign countries and how this was reflected with the help of literature. The research examines the literature works regards Jews residing in Georgia and United States.

Key words: Georgian Jewish, American Jewish, Integration, Assimilation, Jewish theme in literature.